საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №61-ში 5-სართულიან შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა“

შ.პ.ს. „მეიდან ჯგუფის“ ხელმძღვანელების თხოვნით, ჩვენ მიერ 2017 წლის აპრილში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №61-ში, 5-სართულიან შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზ. №61-ში, 5-სართულიან შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია ს.ს. „საქქალაქმშენპროექტის“ საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების მიერ 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათივე გეოტექნიკურ ლაბორატორიაში ჩატარდა გრუნტების თვისებათა გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ———————— 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება ———————————————————— 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ———————————————— 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე ---------- 2 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა ———————————————————— 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ———————— 3 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 5 ფურც.

პროექტით არსებულ 5-სართულიან შენობაზე უნდა დაშენდეს მსუბუქი კონსტრუქციებით განხორციელებული ერთი სართული.

აღნიშნული გამოკვლევები ჩატარდა, როგორც აღვნიშნეთ, 2008 წელს იმ მიზნით, რომ აქ უნდა აშენდეს კაფე. გამოკვლევა მოიცავდა მოედნის გეოლოგიურ შესწავლას, რომელშიც შედის არსებული, ჩვენთვის საინტერესო, 5-სართულიანი

შენობა. ერთ-ერთი ჭაბურღილი სწორედ გაყვანილია შენობასთან ახლოს. ამიტომ, მათ მიერ ჩატარებული გეოლოგიური კვლევები მოიცავს 5-სართულიანი შენობის მოედანსაც.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა სამი ჭაბურღილი. მათი საერთო სიგრძე შეადგენდა 21 მეტრს. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები.

1. ფენა-1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა-2 – თიხა.
3. ფენა-3 – კენჭნარი.
4. ფენა-4 – ნაკლებად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მონაცვლეობა.

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება (ნაყარის გამოკლებით). მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია ჩატარებული თიხნარ გრუნტებზე გამოკვლევები. მიღებული მასალების მონაცემების მიხედვით ავტორი რეკომენდაციას იძლევა შენობა დაფუძნდეს თიხნარ გრუნტებზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმეზე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №61-ში, 5-სართულიან შენობაზე ერთი სართულის დაშენებასთან დაკავშირებით აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენ მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი

ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექ. მეც. დოქტ. პროფესორი გ. ჯოხონელიძე